ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი # 10

ქ. ონი 24. 10. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ნინო გობეჯიშვილი.

სხდომას კომისიის 11 წევრიდან ესწრებოდა 10 წევრი: გივი მეტრეველი, ბესიკი მაისურაძე, მერაბ ბიჭაშვილი, რევაზ საბანაძე, ბიძინა ყიფიანი, ნინო გობეჯიშვილი, როსტომ ლობჯანიძე, ნონა მაისურაძე, გელა მეტრეველი, ეკა მაისურაძე.

არ ესწრებოდა: ზურაბ ბენდიანიშვილი

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო სუბიექტების ინფორმაცია მიმდინარეობისა და ხარისხის შესახებ.

მომხს. ნინო გობეჯიშვილი-კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო სუბიექტების ინფორმაცია მიმდინარეობისა და ხარისხის შესახებ.

მომხს. ნინო გობეჯიშვილი-კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობისა და ხარისხის შესახებ და აღნიშნა, რომ 2022 წლის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია, ექსპლოატაციის გეგმა 19 700 000 ლარია. დღეის მდგომარეობით ფაქტიურად გახარჯულია 8 705 000 ლარი, რაც წლიური გადასახადელების გეგმის 44%-ია.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება - 17 პროექტი : დასრულებული- 6 პროექტი, მიმდინარე - 11 პროექტი - აქედან 2 პროექტი გარდამავალია.

მთის ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განსახორციელებელი 1 პროექტი მიმდინარეა.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება - 3 პროექტი : დასრულებული- 1, მიმდინარე- 2.

სტიქიების შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება - 14 პროექტი, აქედან დასრულებული - 2, მიმდინარე-12.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება : 41 პროექტი, აქედან: დასრულებული- 23, მიმდინარე- 18.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით : 71 პროექტი, აქედან დასრულებული- 63, მიმდინარე- 8.

პრობლემური- გარდამავალი 2021 – 2022 წლების 3 პროექტი დასრულებულია.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 2 პროექტი დასრულებულია. დღეის მდგომარეობით, მიმდინარე წელს გაფორმებული 150 ხელშეკრულებიდან 98 პროექტი დასრულებულია, 52 კი მიმდინარე.

საანგარიშო წლის ბოლომდე დარჩენილ დროში საჭიროა, მაქსიმალური ძალისხმევა მოახდინონ შესაბამისმა სუბიექტებმა, რათა დაძლეული იქნას ჩამორჩენა და დროულად, ხელშეკრულების მოქმედების ვადებში მოხდეს მიმდინარე პროექტების დასრულება.

საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით დაგეგმარების კომისიამ კომისიის სხდომაზე იმსჯელა და გაანალიზა ჩამორჩენის მიზეზები. ობიექტურ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მიმდინარე წელს გახანგრძლივებული ზამთრის პერიოდი, რამაც გამოიწვია დაგეგმილი განსახორციელებელი პროექტების დაწყებისა და დასრულების ვადების ცვლილება. სუბიექტურ მიზეზებად კი შეიძლება ჩავთვალოთ ისეთი საკითხები, როგორიცაა : უხარისხოდ შესრულებელი პროექტები როგორც შესყიდული, ისე საკუთარი ძალებით მომზადებული, მომსახურების მიმწოდებლების არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება ნაკისრი ვალდებულებისადმი, ტენდერში გამარჯვებული სუბიექტების შერჩევა-შეფასების დროს მათი შესაძლებლობების (ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური რესურსი, გამოცდილება, შესრულებული სამუშაოების ხარისხი) თავსებადობა განსახორციელებელ პროექტებთან მიმართებაში, საზედამხედველო სუბიექტების არასათანადო დამოკიდებულება მინდობილი საქმისადმი.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სათანადო ყურადღება არ ექცევა უსაფრთხოების ნორმების დაცვას, რაც პირველ რიგში უნდა იქნას გათვალისწინებული

საჭიროების მიხედვით პროექტირების დროს. მაგალითისათვის ავიღოთ ერთი კონკრეტული ობიექტი- ლაგვანთა - საკაო- ხიდეშლების საავტომობილო გზა. აღნიშნული გზის სპეციფიკიდან (რელიეფი, ადგილმდებარეობა, კლიმატური პირობები) გამომდინარე, აუცილებელია, მოეწყოს ლაგვანთიდან საკაომდე უსაფრთხოებისთვის საჭირო ყველა ხელოვნური ნაგებობა, საგზაო- საინფორმაციო ნიშნები, გზის სავალი ნაწილის საზღვრის ფიქსაციისთვის საორიენტაციო ბოძგიტები სანათებით, ზღუდარები (ბორბალამცდენი ძელები).

საავტომობილო გზის განივი პროფილის სიმცირის გამო, ასფალტის საფარი ზოგიერთ მონაკვეთზე უკიდურეს კიდემდეა მისული, რაც ყოვლად დაუშვებელია, აქედან გამომდინარე რისკ-ფაქტორები მაქსიმუმამდეა აყვანილი. გაუთვალისწინებელი შედეგის თავიდან ასაცილებლად, შესაძლებლობის ფარგლებში, უმოკლეს დროში უნდა მოხდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება. არ შეიძლება კომფორტის ხარისხის გაზრდა უსაფრთხოების დაცვის უგულვებელყოფის ხარჯზე. მსგავსი შემთხვევები სხვას ობიექტებზეც გვხვდება, რაც ყოვლად დაუშვებელია და დაუყონებლივ არის გამოსასწორებელი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ნინო გობეჯიშვილი

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

2022 წ. 24 ოქტომბერს გაიმართა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

კომისიამ სხდომაზე განიხილა საკითხი:

1.ონის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო სუბიექტების ინფორმაცია მიმდინარეობისა და ხარისხის შესახებ.

მომხს. ნინო გობეჯიშვილი-კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით დაგეგმარების კომისიამ კომისიის სხდომაზე იმსჯელა და გაანალიზა ჩამორჩენის მიზეზები. ობიექტურ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მიმდინარე წელს გახანგრძლივებული ზამთრის პერიოდი, რამაც გამოიწვია დაგეგმილი განსახორციელებელი პროექტების დაწყებისა და დასრულების ვადების ცვლილება. სუბიექტურ მიზეზებად კი შეიძლება ჩავთვალოთ ისეთი საკითხები, როგორიცაა : უხარისხოდ შესრულებელი პროექტები როგორც შესყიდული, ისე საკუთარი ძალებით მომზადებული, მომსახურების მიმწოდებლების არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება ნაკისრი ვალდებულებისადმი, ტენდერში გამარჯვებული სუბიექტების შერჩევა-შეფასების დროს მათი შესაძლებლობების (ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური რესურსი, გამოცდილება, შესრულებული სამუშაოების ხარისხი) თავსებადობა განსახორციელებელ პროექტებთან მიმართებაში, საზედამხედველო სუბიექტების არასათანადო დამოკიდებულება მინდობილი საქმისადმი.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სათანადო ყურადღება არ ექცევა უსაფრთხოების ნორმების დაცვას, რაც პირველ რიგში უნდა იქნას გათვალისწინებული საჭიროების მიხედვით პროექტირების დროს. მაგალითისათვის, ავიღოთ ერთი კონკრეტული ობიექტი- ლაგვანთა - საკაო- ხიდეშლების საავტომობილო გზა. აღნიშნული გზის სპეციფიკიდან (რელიეფი, ადგილმდებარეობა, კლიმატური პირობები) გამომდინარე, აუცილებელია, მოეწყოს ლაგვანთიდან საკაომდე უსაფრთხოებისთვის საჭირო ყველა ხელოვნური ნაგებობა, საგზაო- საინფორმაციო ნიშნები, გზის სავალი ნაწილის საზღვრის ფიქსაციისთვის საორიენტაციო ბოძგიტები სანათებით, ზღუდარები (ბორბალამცდენი ძელები).

საავტომობილო გზის განივი პროფილის სიმცირის გამო, ასფალტის საფარი ზოგიერთ მონაკვეთზე უკიდურეს კიდემდეა მისული, რაც ყოვლად დაუშვებელია, აქედან გამომდინარე რისკ-ფაქტორები მაქსიმუმამდეა აყვანილი. გაუთვალისწინებელი შედეგის თავიდან ასაცილებლად, შესაძლებლობის ფარგლებში, უმოკლეს დროში უნდა მოხდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება. არ შეიძლება კომფორტის ხარისხის გაზრდა უსაფრთხოების დაცვის უგულვებელყოფის ხარჯზე. მსგავსი შემთხვევები სხვას ობიექტებზეც გვხვდება, რაც ყოვლად დაუშვებელია და დაუყონებლივ არის გამოსასწორებელი.

ნინო გობეჯიშვილი

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი